



N 15-5/7355

27/07/2021

7355-15-5-2-202107271920



საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს
ბატონ ვახტანგ გომელაურს

წინადადება

მოქალაქე [REDACTED] უფლების დარღვევის გამო პოლიციელების მიმართ
დისციპლინური საქმისწარმოების დაწყების შესახებ

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

ბატონო ვახტანგ,

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ მოქალაქე [REDACTED] საქმის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ შესაძლოა, ადგილი ჰქონდეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეების მხრიდან სამსახურებრივ მოვალეობათა არაჯეროვნად შესრულებას,¹ რაც გამოიხატა შემდეგში:

ფაქტობრივი გარემოებები

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით,² თბილისის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა 2020 წლის 9 ნოემბერს, 01:22 საათზე, თბილისში,

¹ „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა დისციპლინური წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის N189 ბრძანების N1 დანართის (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა დისციპლინური წესდება) მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა1“ ქვეპუნქტი; დისციპლინური გადაცდომის სახეა სამსახურებრივ მოვალეობათა არაჯეროვნად შესრულება.

² საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2021 წლის 12 აპრილის N111/1000025/21 წერილი.

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლებით დააკავეს მოქალაქე [REDACTED] და პირადი გასინჯვის შედეგად ამოღებულ იქნა მობილური ტელეფონი, რომელიც დაილუქა ერთ პაკეტად.

ამავე წერილის თანახმად, შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში 2020 წლის 8-9 ნოემბერს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციული შენობის წინ საპროტესტო აქციის მიმდინარეობისას განხორციელებული ჯგუფური ძალადობის ფაქტზე, დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის N090091120001 საქმეზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 225-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით.

2020 წლის 10 ნოემბერს, ზემოაღნიშნული მობილური ტელეფონი, სასამართლოს განჩინების საფუძველზე, ამოღებულ იქნა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეზე, დანიშნულ იქნა საინფორმაციო-ტექნოლოგიური ექსპერტიზა და მოცემული დროისთვის აღნიშნული მობილური ტელეფონი გადაგზავნილია შემდგომი საექსპერტო კვლევისათვის. ხსენებულ სისხლის სამართლის საქმეზე კვლავ მიმდინარეობს გამოძიება.

სამართლებრივი დასაბუთება

- **სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის რეგულაციები**

საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულია პირადი და ოჯახური ცხოვრების, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებები,³ რომელთა შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ან სხვათა უფლებების დაცვის მიზნით.

კონსტიტუციის შესაბამისია სისხლის სამართლის საპროცესო კანონით დადგენილი რეგულაცია: საგამოძიებო მოქმედება, რომელიც ზღუდავს კერძო საკუთრებას, მფლობელობას ან პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას, ტარდება მხარის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს განჩინებით,⁴ ან გადაუდებელი აუცილებლობისას.⁵

პროკურორს, გამომძიებელს, დაკავების უფლებამოსილებით აღჭურვილ პირს უფლება აქვთ, დასაბუთებული ვარაუდის არსებობისას კანონით გათვალისწინებული წესით,⁶ პირადი ჩხრეკით ამოიღონ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება თუ ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი.⁷ გარდა ამისა, თუ არსებობს

³ საქართველოს კონსტიტუციის პირველი და მე-2 პუნქტები.

⁴ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლის პირველი ნაწილი.

⁵ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლი.

⁶ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 120-ე მუხლით გათვალისწინებული წესით.

⁷ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 121-ე მუხლის პირველი ნაწილი. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 25.12.2020 წ. N2/2/1276 გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად არის ცნობილი 119-ე მუხლის პირველი და მე-4 ნაწილების და 121-ე მუხლის პირველი ნაწილის ის ნორმატიული

დასაბუთებული ვარაუდი, რომ დაკავებულს აქვს იარაღი ან/და აპირებს თავიდან მოიშოროს, დააზიანოს ან გაანადგუროს მტკიცებულების მნიშვნელობის მქონე საგანი, ნივთიერება ან ინფორმაციის შემცველი სხვა ობიექტი, დამკავებელ მოხელეს უფლება აქვს, ჩაატაროს პირადი ჩხრეკა კანონით⁸ გათვალისწინებული წესით.⁹

საგულისხმოა, რომ მობილურ ტელეფონში, როგორც კომპიუტერულ სისტემაში¹⁰ არსებული დოკუმენტის ან ინფორმაციის მოპოვებისთვის (გამოთხოვისთვის) საჭიროა სასამართლოს განჩინება.¹¹

• ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის რეგულაციები

საკანონმდებლო აქტებით უშუალოდ გათვალისწინებულ შემთხვევებში სამართალდარღვევის აღსაკვეთად, როცა ამოწურულია ზემოქმედების სხვა ზომები, პიროვნების დასადგენად, სამართალდარღვევათა ოქმის შესადგენად, თუ ოქმის შედგენა აუცილებელია, მაგრამ მისი ადგილზე შედგენა შეუძლებელია, საქმის დროულად და სწორად განხილვისა და საქმეზე მიღებული დადგენილების აღსრულების უზრუნველსაყოფად დასაშვებია პირის ადმინისტრაციული დაკავება, პირადი გასინჯვა, მისი ნივთების გასინჯვა და მისთვის ნივთებისა და დოკუმენტების ჩამორთმევა.¹²

ზემოხსენებული საფუძვლით დამრღვევის ადმინისტრაციული დაკავება შეუძლიათ შინაგან საქმეთა ორგანოებს წვრილმანი ხულიგნობის, პოლიციის კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის ჩადენის შემთხვევებში.¹³ პირადი გასინჯვა და ნივთების გასინჯვა შეიძლება აწარმოონ შს სამინისტროს უფლებამოსილმა თანამდებობის პირებმა.¹⁴ პირადი გასინჯვისა და ნივთების გასინჯვის შესახებ დგება ოქმი ან/და სამართალდარღვევის ან დაკავების ოქმში კეთდება შესაბამისი ჩანაწერი.¹⁵

რაც შეეხება ნივთებისა და დოკუმენტების ჩამორთმევას, დაკავების, პირადი გასინჯვის ან ნივთების გასინჯვის დროს აღმოჩენილ ნივთებსა და დოკუმენტებს, რომლებიც

შინაარსი, რომელიც ჩხრეკის შედეგს განიხილავს ჩხრეკისთვის აუცილებელი დასაბუთებული ვარაუდის შექმნის ერთ-ერთ საფუძვლად.

⁸ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 121-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული წესი.

⁹ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 174-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

¹⁰ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის 27-ე ნაწილი: კომპიუტერული სისტემა - ნებისმიერი მექანიზმი ან ერთმანეთთან დაკავშირებულ მექანიზმთა ჯგუფი, რომელიც პროგრამის მეშვეობით, ავტომატურად ამუშავებს მონაცემებს (მათ შორის, პერსონალური კომპიუტერი, ნებისმიერი მოწყობილობა მიკროპროცესორით, აგრეთვე მობილური ტელეფონი).

¹¹ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლის პირველი ნაწილი: დასაბუთებული ვარაუდის არსებობისას, რომ კომპიუტერულ სისტემაში ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახ საშუალებაში ინახება საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია ან დოკუმენტი, პროკურორი უფლებამოსილია სასამართლოს მიმართოს ინფორმაციის ან დოკუმენტის გამოთხოვის განჩინების გაცემის შუამდგომლობით. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 27 იანვრის N1/1/650,699 გადაწყვეტილებით, არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც გამორიცხავს დაცვის მხარის მიერ განჩინების გაცემის შუამდგომლობით სასამართლოსათვის მიმართვას.

¹² საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 244-ე მუხლის პირველი ნაწილი.

¹³ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 246-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი.

¹⁴ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 248-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილები.

¹⁵ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 248-ე მუხლის მე-5 ნაწილი.

წარმოადგენენ სამართალდარღვევის იარაღს ან უშუალო ობიექტს, ჩამოართმევენ დაკავების და გასინჯვის უფლებამოსილების მქონე ორგანოთა, მათ შორის, შინაგან საქმეთა, თანამდებობის პირები.¹⁶

ზოგადი დანაწესის გარდა, კანონი განსაზღვრავს ნივთების/საგნების/დოკუმენტების ჩამორთმევის ამომწურავ საფუძვლებს კონკრეტული სამართალდარღვევების ჩადენის შემთხვევაში, რომელთა შორის არ არის იმავე კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლებით განსაზღვრული ქმედებები.

- დაკავებულის იზოლატორში განთავსების და ნივთების ჩამორთმევის პროცედურა დამკავებელმა მოხელემ ადმინისტრაციული წესით დაკავებული დაუყოვნებლივ უნდა მიიყვანოს პოლიციის უახლოეს დაწესებულებაში ან სხვა სამართალდამცველ ორგანოში.¹⁷

მოსათავსებელი პირის პირად დათვალიერება და მისი ნივთების შემოწმება ტარდება იზოლატორში შეყვანისთანავე.¹⁸ თუ პირადი დათვალიერების პროცესში აღმოაჩნდება აღნიშნული ნივთი, იგი ექვემდებარება ჩამორთმევას იზოლატორის მოსამსახურის მიერ.¹⁹ მობილური ტელეფონი სწორედ ასეთ ნივთს წარმოადგენს.²⁰

წინამდებარე შემთხვევის ანალიზი

2020 წლის 9 ნოემბერს პოლიციელებმა [REDACTED] ადმინისტრაციული წესით დააკავეს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლებით და დაკავებულის პირადი გასინჯვის შედეგად „ამოიღეს“ მობილური ტელეფონი. მომდევნო დღეს, 10 ნოემბერს, იგივე მობილური ტელეფონი სისხლის სამართლის N090091120001 საქმეზე, სასამართლოს განჩინების საფუძველზე იქნა ამოღებული.

შეფასების საგანს სწორედ ადმინისტრაციული წესით დაკავებულისგან პირადი გასინჯვის შედეგად მობილური ტელეფონის „ამოღების“ ფაქტი წარმოადგენს.

საგამოძიებო მოქმედება - ამოღება დანაშაულის ფაქტზე გამოძიების წარმოების პროცესში ტარდება სასამართლოს განჩინებით ან გადაუდებელი აუცილებლობის დროს. რაც შეეხება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე საქმის წარმოებას, კანონი ამოღებას

¹⁶ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 249-ე მუხლის პირველი ნაწილი.

¹⁷ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 245-ე მუხლის მე-4 ნაწილი.

¹⁸ „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორების ტიპური დებულებისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 02 აგვისტოს N423 ბრძანების N2 დანართის მე-5 მუხლის პირველი პუნქტი.

¹⁹ „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორების ტიპური დებულებისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 02 აგვისტოს N423 ბრძანების N2 დანართის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი.

²⁰ „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორების ტიპური დებულებისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 02 აგვისტოს N423 ბრძანების N2 დანართის - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორების შინაგანაწესის დანართი N1.

საერთოდ არ ითვალისწინებს. შესაძლებელია დაკავება, პირადი გასინჯვა, ნივთების გასინჯვა და ნივთებისა და დოკუმენტების ჩამორთმევა.²¹

თუმცა, დაკავების, პირადი ან ნივთების გასინჯვის დროს დასაშვებია მხოლოდ იმ ნივთების ჩამორთმევა, რომელიც **სამართალდარღვევის იარაღს ან უშუალო ობიექტს წარმოადგენს.**²² საგულისხმოა, რომ მობილური ტელეფონი წვრილმანი ხულიგნობის და პოლიციის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის ჩადენის იარაღს ან უშუალო ობიექტს არ წარმოადგენს და არც მოცემულ შემთხვევაში ყოფილა ინფორმაცია [REDACTED] კუთვნილი მობილური ტელეფონის ხსენებული სამართალდარღვევების იარაღად ან ობიექტად გამოყენების თაობაზე. ამასთან, სახეზე არ ყოფილა საქმისწარმოების უზრუნველყოფის ზომად კანონით გათვალისწინებული ნივთის ჩამორთმევის კონკრეტული საფუძველები²³, რომელთა შორის, წვრილმანი ხულიგნობისა და პოლიციის მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობისას მობილური ტელეფონის ჩამორთმევის საფუძველი არ ფიქსირდება.

კანონი ითვალისწინებს ადმინისტრაციული სახდელის სახით იმ საგნის სასყიდლით ჩამორთმევას ან კონფისკაციას, რომელიც სამართალდარღვევის ჩადენის იარაღი, უშუალო ობიექტი ან საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის დარღვევის საგანი, საქონლის ტრანსპორტირებისა და მიწოდების საშუალება იყო.²⁴

ამრიგად, კანონი დასაშვებად მიიჩნევს ადმინისტრაციული წესით დაკავებული პირის პირად გასინჯვას და ნივთების გასინჯვას და მხოლოდ იმ ნივთების ჩამორთმევას, რომელიც **სამართალდარღვევის იარაღს ან უშუალო ობიექტს წარმოადგენს.** მობილური ტელეფონი კი არც პოლიციის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის და არც წვრილმანი ხულიგნობის იარაღი ან უშუალო ობიექტი არ ყოფილა და შესაბამისად, ადმინისტრაციული დაკავებისას ტელეფონის ჩამორთმევის ან „ამოღების“ საფუძველი არ არსებობდა.

პირის ადმინისტრაციული წესით დაკავება ავტომატურად არ გულისხმობს მობილური ტელეფონის ჩამორთმევას. როგორც აღინიშნა, ადმინისტრაციული წესით დაკავებული პირი თავსდება დროებითი მოთავსების იზოლატორში, სადაც მას შემოწმებისას ჩამოერთმევა ყველა ის ნივთი, რომლის ქონაც დაუშვებელია იზოლატორში ყოფნისას და ამავდროულად კანონსაწინააღმდეგო არ არის (მათ შორის, მობილური ტელეფონი). შესაბამისად, საჭიროების არსებობისას, [REDACTED] ტელეფონის ჩამორთმევა შესაძლოა მომხდარიყო დროებითი მოთავსების იზოლატორში და არა დამკავებელი პოლიციელების მიერ.

შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში [REDACTED] ადმინისტრაციული სახდელის სახით მისი კუთვნილი მობილური ტელეფონის ჩამორთმევა არ მომხდარა (არც შესაბამისი

²¹ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 244-ე მუხლის პირველი ნაწილი.

²² საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 249-ე მუხლის პირველი ნაწილი.

²³ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 249-ე მუხლის მე-2-5 ნაწილები, 250-ე მუხლი, 312¹ მუხლი. საკითხი დეტალურად განხილულია „სამართლებრივი დასაბუთების“ ნაწილში.

²⁴ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტები.

საფუძველი არსებობდა). არამედ, ადმინისტრაციულად დაკავებული [REDACTED] პოლიციელებმა პირადი გასინჯვისას „ამოდეს“ მისი კუთვნილი მობილური ტელეფონი, მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი მოქმედების საკანონმდებლო საფუძველი არ არსებობდა.

დასკვნა

ამდენად, თბილისის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა წვრილმანი ხულიგნობისა და პოლიციის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობისთვის ადმინისტრაციული წესით დაკავებული [REDACTED] პირადი გასინჯვის შედეგად სამართლებრივი საფუძვლის არსებობის გარეშე „ამოდეს“ და ჩამოართვეს კუთვნილი მობილური ტელეფონი, რომელიც არ წარმოადგენს სამართალდარღვევის საგანს ან უშუალო ობიექტს.


ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოგმართავთ წინადადებით, დაიწყეთ დისციპლინური საქმისწარმოება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეების მიერ მოქალაქე [REDACTED] უფლების სავარაუდო დარღვევის ფაქტზე და მიიღოთ კანონშესაბამისი გადაწყვეტილება, ვინაიდან მათ ჩაიდინეს „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა დისციპლინური წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის N989 ბრძანების N1 დანართის (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა დისციპლინური წესდება) მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომა - სამსახურებრივ მოვალეობათა არაჯეროვანი შესრულება.

ამასთან, გთხოვთ, მოცემული წინადადების განხილვის შედეგები მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

დანართი: 2 (ორი) ფურცელი.

პატივისცემით,

ნინო ლომჯარია

5- 

სახალხო დამცველი

